საქართველოს მთავრობის

დადგენილება №558

2019 წლის 19 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/04/2015, 010130000.10.003.018561) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. დანართ №1-ს („დიპლომატიური პასპორტის მიღების უფლების მქონე პირები“) „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ლ^{1}) სახელმწიფო ინსპექტორი;“.

2. დანართ №2-ს („სამსახურებრივი პასპორტის მიღების უფლების მქონე პირები“) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ^{1}“ ქვეპუნქტი:

„მ^{1}) სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე და მოადგილეები;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**